ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

□ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 14 ᲛᲐᲠᲢᲘ 1978 წ. □ № 61 (17105) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲘᲕᲐᲚᲬᲘᲝᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ, ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲝᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝᲜ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲩᲐᲔᲑᲜᲔᲜ ᲚᲐᲛᲐᲖᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲒᲘᲗᲐᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲦᲠᲛᲐᲝᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲘ ᲓᲔᲕᲘᲖ-ᲜᲘᲗ: „ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ!“ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲠᲫᲝᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲑᲬᲯᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲗᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲐᲠᲢᲘ მარტი უმნიშვნელოვანეს თარიღად ჩაიწერება მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მებრძოლი საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ცხოვრებაში. აწ დღეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1977 წელს მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკას პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, საზეიმო ვითარებაში მეუფლად გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს გამარჯვების დროშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი უსაზღვრო მადლობის გრძნობას აღუძრავს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს რესპუბლიკასათვის ეხოდენ დიდი, ნაზდვილად მამობრივი ზრუნვის გამო.

პარტიის ზრუნვამ, მისი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებამ. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მშრომელთა თავდადებულმა შრომამ შესაძლებელი გახადა საქართველოს ეკონომიკის განვითარება. წარმოების მოცულობის ზრდა. მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების საგრძნობი ამაღლება, ერთობლივი დოვლათის გამრავლება.

და როგორც გულში ჩამწვდომად, ხატოვნად თქვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ტრიბუნიდან, ხუთი წითელი დროშა ზრდის ხუთი საფეხურია, ხუთი მწვერვალია. სწორედ ამ ტრიბუნიდან ვით გამარჯვების სიმფონია, ისმოდა საამაყო ციფრები წინსვლისა და გამარჯვებისა, ბოლო ხუთ წელიწადში რესპუბლიკა ზედიზედ რომ აღწევს. ეს არის უმაგალითო ზრდის ციფრები: ეროვნული შემოსავლისა — 46,9 პროცენტით, საშრეწველო პროდუქციისა — 49 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა — 47 პროცენტით, რაც 1973-1977 წლებია მიღწეული. ამ და ზრდის სხვა მრავალსიმეტყველი ციფრების უკან ჩვენ ვხედავთ მრეწველობის მუშათა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა, ინტელიგენციის, რესპუბლიკის მშრომელთა მილიონების შთაგონებულ შრომას.

ყოველივე ეს განპირობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების თანამიმდევრული განხორციელებისათვის ყველა პარტიული კომიტეტის, ყველა შრომითი კოლექტივის მონდომებამ.

იქ, სადაც დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა ორგანულად არის შეხამებული შრომასა და წარმოების ორგანიზაციისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებასთან. წარმოების ეფექტიანობაც მაღლდება, ხაელგმო დავალებაც და სოციალისტური ვალდებულებანიც წარმატებით სრულდება. ამის მაგალითს ვხედავთ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით!„ — რუსთაველთა ამ ინიციატივის შემდეგ დაიწყო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი პაიხის რაიკომის ინიციატივით მასობრივი მოძრაობა ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე მუშაობისათვის.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მოყვანილი იყო იმის ნათელი მაგალითები, რომ 1977 წელს გაცდენების შემცირებით საშუალება მოგვეცა დამატებით გვეწარმოებინა 10 მილიონი მანეთის საბრწველო პროდუქციის, ხოლო სულ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დანაკარგებმა გაცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით საშუაზზე გამოუცხადებლობის, მთელი დღისა და ცვლაში გაცდენის შემცირების შედეგად 1972 წელთან შედარებით 20 მილიონი მანეთით და მეტად იკლო. დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას არა მარტო მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, არამედ მკაფიოდ გამოხატული ეკონომიკური მნიშვნელობა, ეკონომიკური ასპექტიც ჰქონდა.

დიდი ეკონომიკური ძვრებია მიღწეული, მაგალითად, ჩოხატაურის რაიონში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის, სპალო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, შრომის სოციალისტური დისციპლინის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებით. კომპეტენტურად, გამიზნულად, პრინციპულად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით ეწევა დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობას პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომი.

მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება სერიოზული საზრუნავია. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ყველა საწარმოში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ არის მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებისათვის ბრძოლა, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა 6,3 პროცენტს არ აღემატება. ზუსტი ორგანიზებულობა და მტკიცე სახელმწიფო დისციპლინაა საჭირო ყველა რგოლში, რათა კიდევ უფრო ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი.

მტკიცე საფუძველი უნდა ჩაეყაროს ხუთწლედის მესამე წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დავალებათა წარმატებით შესრულებას. ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით აღინიშნება ერთგვარი ჩამორჩენა, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, საგაზაფხულო სახოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადებაში.

წლეულს საქართველოს მშრომელებს მეტად სახპატიო მიჯნები აქვთ ასაღები. მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებაა, რომ რეალიზაციის მოცულობიხა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ხუთწლედის სამი წლის გეგმას 12 დეკემბრისათვის შეასრულებენ. წარმოებას გაზრდიან 7,1 პროცენტით, გამოუშვებენ 160 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. სოფლის მშრომელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 160 ათას ტონა მარცვლეულს, 512 ათას ტონა ყურძენს, 400 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, 395 ათას ტონა ხილს, 150 ათას ტონა ციტრუსებს, დიდძალ ბოსტნეულს, შაქრის ჭარხალს, მეცხოველეობის პროდუქტებს. თავიანთი საბრძოლო ამოცანები აქვთ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ხავაკრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს, ჩვენს მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲘᲡᲕᲘᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲪᲘᲧᲝᲗ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲮᲐᲖᲖᲔ.

პარტიული, სახელმწიფო, საგეგმო, შრომითი დისციპლინა, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ეს არის წინსვლის ხაწინდარი, ჩვენი დოვლათი, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, ეს არის ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების კეთილი ბომავალი. ამიტომაც არა მარტო, თითოეული კომუნისტი, მშრომელი უნდა იცავდეს მას, არამედ აგრეთვე იმისთვისაც ზრუნავდეს, რომ არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი არ ყოს მას გვერდით. სწორედ ამიტომ იყო, რომ მთელი ჩვენი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანათა გადაწყვეტისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მეხუთე, განსაკუთრებთ მერვე და უკანასკნელ, მეცხრე პლენუმებზე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა დისციპლინის განმტკიცებისათვის პრძოლის გასაქტიურებლად.

საბჭოთა საქართველოსათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის ზეიმს წინ უძღოდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმი, რომელმაც განიხილა ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ისეთი ყველაზე აქტუალური საკითხი, როგორიც არის სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის საბაზე სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. მაღალი ჯილდო, რომელიც რესპუბლიკას მეხუთედ გადაეცა, კიდევ უფრო დარაზმავს სოფლის მშრომელებს, პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესახრულებლად კვლავაც უნდა განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება, ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, ქმედითობა, საჭაროობა, ყველგან დავამკვიდროთ სოციალისტური შეჯიბრების ლენინური პრინციპები, გადაჭრით აღვკვეთოთ ფორმალიზმი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. კოლექტივის ყოველი ვალდებულება უნდა იცოდეს მისმა თითოეულმა წევრმა და იბრძოდეს მისი შესრულებისათვის. საერთო წარმატებებში დიდი ხოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის როლი.

პარტიულ ორგანიზაციებს მართებთ მთელი ხერიოზულობით გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ქმედითი, ეფექტიანი ხელმძღვანელობის დონე. შეჯიბრების ავანგარდში კვლავაც უნდა იყვნენ კომუნისტები და კომკავშირელები და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მასებს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, საკავშირო გარდამავალი დროშის გადაცემის სასიამოვნო მასი რომ შეასრულა, ამასთან ერთად ნათლად და მკაფიოდ გამოხატა ჭეშმარიტი კომუნისტის, ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანის მოსწრაფება — არ დავჯერდეთ მიღწეულს, გუნდროდეს მუდამ მეტის შექმნა, მაქსიმუმის გაკეთება. აი რატომ იყო, რომ მთავარი ყურადღება მომავლის ამოცანებს, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს დაეთმო. და ეს განწყობილება, ეს სულისკვეთება დაუყოვნებლივ უნდა გადავდეს. გავრცელდეს ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციაში, ყველა შრომითს კოლექტივში.

ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი საქმეა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალების ფართო და ყოველმხრივი განმარტება, შინაარსიანი, მიზანმიმართული პროპაგანდა. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან ლექტორები და პროპაგანდისტები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები, ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მთელი ძალები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალების პროპაგანდასა და დახმული ხადღეისო ამოცანების გადაწყვეტისათვის ადამიანთა დარაზმვის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, საბჭოთა საქართველოს ყველა შრომითი კოლექტივის ნებასა და მისწრაფებას რომ გამოხატავენ, აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ საბჭოლოს მაღალი ჯილდოს პასუხად ყოველ ღონეს იხმარენ მომდინარე წლისა და მთელი ხუთწლედის ხახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XXV ყრილობაზე შემოშავებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში.

ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲛ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა პროფკავშირები განვითარებული სოციალიზმის პირობებში“.

კრებულში შეტანილია, მთლიანად ან ნაწილობრივ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1964 წლის ნოემბერ — 1977 წლის ნოემბრის პერიოდის მოხსენებანი, სიტყვები, გამოსვლები, მისალმებანი, რომლებშიც გაშუქებულია საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.

კრებული მოსკოვის „წითელი პროლეტარის“ სტამბაში დაბეჭდა. (საკრესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲚᲙᲙ XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ სოფელ აჩიგვარის მკვიდრი ნაზიბროლა ხახაია რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ქალიშვილია, რომელმაც ხელის შრომას მექანიზატორის პროფესია არჩია. იგი მამის გზას დაადგა და ახლა მეცხრედ იწყებს ხეზონს მანქანა „საქართველოთი“.

ამჟამად ნაზიბროლა ხელმძღვანელობს აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორთა ბრიგადას, რომელშიც მხოლოდ ქალიშვილები არიან.

კომკავშრომულ-ახალგაზრდული ბრიგადა მეურნეობაში ერთ-ერთი პირველი ამთავრებს ჩაის ბუჩქების ხაგაზაფხულო შემოკრას და ხუთწლედის მეხუთე წლის მოსავლის აღების ხტარტისათვის ემზადება. ნაზიბროლამ ვალდებულება იკისრა გაპირავნებული 11 ჰექტარიდან ხამშობლოს მისცეს 150 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც დავალებაზე 20 ტონით მეტია.

ახალგაზრდა მეჩაიე, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო პროფსაბჭოს წევრი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, კომუნისტი ნაზიბროლა ხახაია ბრიგადისა და მთელი საბჭოთა მეურნეობისათვის თავდადებული, ოსტატური შრომის მაგალითია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ნაზიბროლა ხახაია, რომელიც ამას წინათ სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

Ი. ᲠᲘᲩᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘ სამზადისია დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“. ლენინური შაბათობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად 22 აპრილს აქ სამუშაოდ გამოვა 5 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე. ამ დღეს ელმავალმშენებლები გამოუშვებენ 190 ათასი მანეთის პროდუქციას, რომლის 30 პროცენტი დაზოგილი ნედლეულით დამზადდება. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 8,5 ათასი მანეთი.

შაბათობის დღეს ქარხნის მწვანე სამოსელს შეიმატება 300-ზე მეტი ხე და ბუჩქი, შეგროვდება 50 ტონა ჯართი. („კომუნისტის“ კორ.).

ᲒᲔᲛᲗᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). მოსკოველ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას — 22 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა — აქტიურად გამოეხმაურნენ ბათუმელი გემთმშენებლები. როგორც ქარხნის დირექტორმა ვ. რუხაძემ ვეიუნრა, შაბათობის მომწყობმა კომისიამ შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქარხნის ეზო-მიდამოს დასუფთავებას, ჯართის შეგროვებას, მიკრორაიონის გამწვანებას.

ᲒᲐᲯᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ ᲡᲘᲨᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ხუთწლედის მესამე წელს სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის იბრძვიან ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები. საგაზაფხულო თესვისათვის უკვე მზად არის ნიადაგი 6.235 ჰექტარზე. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების ზოლების გადაბარვა და მწკრივთაშორის ნიადაგის დამუშავება სასუქების შეტანით. ეს სამუშაო შესრულებულია 7.700 ჰექტარზე.

დღეისათვის ჩაის ბუჩქები გასხლულია 3.100 ჰექტარზე.

გამრჯე კომეურნეები თამარ ყუფუნია, ვერა ᲧᲘᲜᲘᲐ, ᲒᲣᲒᲣᲨ ᲭᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲘᲐ და სხვები თითოეულ საათს, თითოეულ დღეს სიუხვის სამსახურში აყენებენ.

ᲡᲘᲛᲔᲩᲮᲠᲘᲡ ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲤᲮᲕᲠᲔᲚᲐᲓ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. („კომუნისტის“ კორ.). საბრძოლო განწყობით შრომობენ ამ დღეებში თელავი ᲛᲔᲛᲠᲗᲔᲚᲗᲐ. ᲨᲕᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 4.120 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲮᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ — 740 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ. ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐ ᲐᲓᲘᲛᲝᲤᲮᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ. ᲒᲐᲓᲐᲮᲘᲕᲘᲜᲘᲗᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ 200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲫᲘᲠᲘ ᲖᲐᲮᲚᲘ. ᲒᲐᲘᲡᲚᲔᲑᲐ 6.700 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲘᲜᲘᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲣᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 3.371 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲑᲘᲗ.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲗ შეიარაღებული შეეხვედეთ ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხულს — ᲐᲡᲚᲘᲗᲘ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲡ შეჯიბრება საქართველოს მექანიზატორებმა. მხარი დაუჭერეს რა გალისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელთა თაოსნობას, რომლებმაც გადაწყვიტეს ყოველმხრივ მოამზადონ ტექნიკა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, კომეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოები, „საქსოფლტექნიკის“ კაერთიანებისა და განყოფილებების კოლექტივები ამთავრებენ ტრაქტორების, სათესი და ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მექანიზებულ საწარმოებსა და სახელმწიფო მეურნეობებში სოგაზაფხულო ტექნიკის მომზადების მდგომარეობა ასეთია:

	მანქანები	მათგან გამართული	გამართული %-ᲗᲐᲜ
ტრაქტორები	20227	18676	92
სატვირთო ავტომობილები	15707	13847	88
სამარცვლე კომბაინები	1433	1111	75
ტრაქტორის მიხაბმელები	7722	7235	94
ᲒᲣᲜᲓᲘ	8013	7583	95
ᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘ	3901	3549	91
ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲝᲚᲘᲡᲗ ᲗᲐᲗᲕᲘᲡ	766	737	96
ᲮᲐᲢᲣᲚᲘ-ᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲒᲠᲔ�გᲐᲢᲘ	670	588	88
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘ	1009	898	89

(საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

„ᲡᲐᲚᲣᲢ-6“ — „ᲡᲝᲘᲣᲖ-27“

ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 13 მარტი. (საკრესი). ოთხმოცდამეთოთხმეტე დღეა დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში მუშაობენ იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო.

ფრენის პროგრამის შესაბამისად, ეკიპაჟი შეუდგა „სალუტ-6“ სადგურის საბორტო სისტემების, აგრეთვე იმ სამეცნიერო აპარატურისა და ხელსაწყოების დაკონსერვების ოპერაციებს, რომლებიც უკვე დაამთავრეს მუშაობა.

დღეს კოსმონავტები ასრულებენ სადგურისა და ხომალდის ტექნიკური მომსახურების სამუშაოებს, ვარჯიშობენ კომპლექსურ ტრენაჟერზე. ფიზიკურ წვრთნაში ეკიპაჟი იყენებს ვაკუუმურ კოსტიუმს „ჩიბიხს“.

შესრულდა მორიგი ექსპერიმენტი, რათა განესაზღვრათ, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური გარემო ელუმენატორების ოპტიკურ თვისებებზე. კოსმონავტებმა მოაწყვეს ელუმენატორების ფოტოგადაღება შემდგომი ანალიზისა და ფრენით გამოწვეული დამახინჯების აღრიცხვისათვის.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორ

ᲒᲔᲖᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ

რამდენიმე ათეული წელია კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ და ამ ხნის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრავალ პლენუმს დავსწრებივარ, მაგრამ ისეთი შემოქმედებითი, ხაჭმიანი ვითარება, როგორშიც ამასწინანდელი მეცხრე პლენუმი მიმდინარეობდა, ჯერ არ მახსოვს. მისმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განხახილველი საკითხთან დაკავშირებით გრანდიოზული მოსამზადებელი მუშაობა გაუწევია, შეუსწავლია და გაუთვალისწინებია სპეციალისტებისა და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ფართო წრის აზრი. ყოველივე ამან განაპირობა პლენუმის უაღრესად კომპეტენტური ხასიათი, ცხოვრებისთან მისი გადაწყვეტილებების მჭიდრო კავშირი, პლენუმმა თითოეულ მის მონაწილეს, ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს ნათლად უჩვენა, რომ სპეციალიზაციის თანამიმდევრული გაღრმავება, კონცენტრაციის გაძლიერება და თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე დარგის გადაყვანა ჩვენი ხოფლისათვის საარსებო აუცილებლობის საქმე. მაგისტრალური მიმართულებაა. ამიტომ არის, რომ პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ზემოქედელ კოლმეურნეებს.

ჩვენს კოლმეურნეობას უკვე ნაგები აქვს დარგის სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და მეურნეობათა კოოპერაციის საკეთილ. ეს საკითხი, პირველ ყოველისა, კაპიტალდაბანდებათა და სხვა მატერიალური და ფინანსური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებაში, სოციალურ გარდაქმნათა წარმატებით განხორციელებასა და ბევრ სხვა საკითხის გადაჭრაში ვლინდება და დღითი დღე ზრდის ხოფლის შეძლებას.

ზემო ქედში 1102 კომლი ცხოვრობს, რომელთა განკარგულებაშია 18.500 ჰექტარი სავარგული, 3.500 ხული საქონელი, 4.500 ღორი, 21 ათასი ცხვარი, 100 ტრაქტორი, 30 კომბაინი, 102 ავტომანქანა. ამ ხემდინარეს გამრჯე კოლმეურნეები ყოველწლიურად ამრავლებენ და ახალ მწვერვალებს იპყრობენ კულტურისა და ეკონომიკის დარგში. შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ, უკანონობის მაუხედავად, ხახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 2.800 ტონა ხორბალი, 2100 ტონა ყურძენი, 277 ტონა ხორცი და 771 ტონა რძე მიჰყიდა. სამეურნეო წელი კი გეგმით გათვალისწინებული 873 ათასი მანეთის ნაცვლად მილიონ-ნახევარი მანეთის მოგებით დავამთავრეთ. კოლმეურნეობის საერთო ფულადმა შემოსავალმა ხუთი მილიონ 829 ათასი მანეთი შეადგინა, რაც გეგმას ორი მილიონ 316 ათასი მანეთით აღემატება. რენტაბელობის დონეს ხაგეგმო 28 პროცენტის ნაცვლად 40 პროცენტს მიაღწია, რაც 20 პროცენტით ჭარბობს წინა წლის მაჩვენებლებს. თითოეულმა მომუშავემ 4.680 მანეთის პროდუქცია შექმნა, ხოლო ხაშუალოდ კოცდღეზე წარმოებულია 22 მანეთის დოვლათი, ნაცვლად ხაგეგმო 15 მანეთისა. ხაშუალო-თვიური ხელფასი კი 180 მანეთია.

ეს ურიგო მაჩვენებლები როდია, მაგრამ, როგორც მებრძოლ ადამიანებს სჩვევიათ, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მით უფრო, რომ ბოლო ხამ წელიწადში მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი ნაკლებია. საჭიროა გამოძებნის ახეთი გზა, რომელიც ნაკლები დანახარჯებითა და შრომის შემსუბუქებით უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას მიგვაღწევინებს.

ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების პრაქტიკულად განხორციელების ახალი ეტაპი უკვე დაწყებულია წითელწყაროს რაიონში. მეორე წელია ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა მეცხოველობის ხაკოლმეურნეობათშორისო ხამრეწველო გაერთიანება, რომელმაც პირველ წლებშივე გაამაროლა თავისი დანიშნულება და კარგი შედეგი მოგვცა. უფრო ადრე კი ჩამოყალიბდა ფურების ხელოვნური დათესვის ხაკოლმეურნეობათშორისო გაერთიანება, რომელიც დიდ როლს ასრულებს ჯოგის ჯაჭვრბრივი გაუმჯობესების და ხულადობის გადიდების საქმეში. კოლმეურნეობებში დაქსაქსულ ხაუტკრებს მოეკიბა თავი მეფუტკრეობის ხაკოლმეურნეობათშორისო გაერთიანებაში.

მეცხოველეობის გაერთიანებამ ხახელმწიფოს 2.300 ხული მხვილეფეხა რქიანი პირუტყვი მიჰყიდა, რომელთაგან 97 პროცენტი კარგად იყო ნახული. თითოეული ჩაბარებული პირუტყვის ხაშუალო ცოცხალმა წონამ 340 კილოგრამი შეადგინა. ამავე პერიოდში კოლმეურნეობების მიერ ხახელმწიფოხათვის მიყიდული თითოეული პირუტყვის ხაშუალო ცოცხალი წონა კი მხოლოდ 283 კილოგრამი და ხაერთო რაოდენობიდან კარგად ნასუქი 68 პროცენტი იყო. თითოეული ცენტნერი ხორცის წარმოება გაერთიანებაში 139 მანეთი დაჯდა, კოლმეურნეობაში კი 182 მანეთი, ანუ 43 მანეთით მეტი. თითოეულ ჩაბარებულ პირუტყვზე გაერთიანებამ 907 მანეთი მიიღო, კოლმეურნეობამ კი — 476 მანეთი. გაერთიანებამ შარშან დიდი წონის პირუტყვის ჩაბარებისათვის დამატებით 946.200 მანეთი მიიღო და რენტაბელობის დონემ 47,2 პროცენტი შეადგინა. აქ სამეურნეო წელი 150 ათასი მანეთის მოგებით დამთავრდა, შეიკრა ყველა ხაწესებელი ფონდი და მოგების ნაწილი მეპატრონეებს გაგვანაწილდა. მოგება კიდევ უფრო დიდი იქნება წელეულს, როცა მშრომლობა ჩადგება 10 ათასი სულისათვის გათვალისწინებული ვორონოვის ტიპის ხაჯიმე ხბოების გამოხაზრდელი ხაკოლმეურნეობათშორისო კომპლექსი, რომლის ერთ-ერთმა განყოფილებამ მაღალპროდუქტიული ხანაშეზე დეკეულებით უნდა უზრუნველყოს რაიონის კოლმეურნეობები.

პლენუმზე ჩვენი რაიონი სამართლიანად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ შეცდომები დავუშვით მეფრინველეობის ფერმების მშენებლობის საქმეში. იმის მაგვრად, რომ თავდაცვე კოოპერატრების ხაფუძველზე მსხვილი ხაკოლმეურნეობათშორისო ბაზები აგვეშენებინა, კოლმეურნეობებმა თავთავიანთათვის დაიწყეს ჩვრალ-ჩვრილი ფერმების მშენებლობა. ამ შეცდომის გამოხწორება ახლა გვიხდება.

უკვე რამდენიმე წელია რაიონთან ერთად სპეციალიზაციის გზით ვითარდება ზემო ქედის კოლმეურნეობა. შეთანხწორებილია ორი ძირითადი დარგი — მემინდვრეობა და მეცხოველეობა. კოლმეურნეობამ ხელიდან არ გაუშვა ის ტეტანდ ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ჩვენთან მეკვლახეობის განვითარებისათვის არსებობს. მეორე წელია ფართო მასშტაბით დავიწყეთ ვენახების გაშენება. ზვრებს 1.225 ჰექტარი უჭირავს. ამ დარგმა დიდი აღიარება, კოლმეურნეთა მხარდაჭერა მოიპოვა და ხაერთო ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. ამას ისიც ადასტურებს, რომ შარშან ჩვენ მარტო მევენახეობიდან 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოხავალი და ერთი მილიონი მანეთი წმინდა მოგება მივიღეთ.

პერსპექტივაში მევენახეობას კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ მეცხოველეობისა და მემინდვრეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების შემდეგ.

თუ ზემო ქედის კოლმეურნეობა უახლოეს 3-4 წელიწადში 10 ათას ტონა ყურძნის წარმოებას ითვალისწინებს, მომავალ ხუთწლედში ყოველწლიურად ხახელმწიფოს 15 ათას ტონას მივყადით. ამისათვის კი ხავრო დამატებით გამოგვიყონ მანქანა-იარაღი, შპალერზე ვენახის გადახაყვანი ხაშუალებანი, შხამქიმიკატები და სხვა მატერიალური რესურსები.

ამრიგად, კოლმეურნეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხახე ძირითადად ჩამოყალიბებულია. ვაწარმოებთ ყურძენს, მარცვლეულს, რძესა და ღორის ხორცს. მომავალში კი, როცა ჩვენი ვენახები 1500 ჰექტარს მიაღწევს, დაგვჭირდება მარცვლეულის, ბზესუმზირის, ღორის ხორცის და ზოგიერთი პროდუქტის წარმოება გავიანოთ სამეურნეობათშორისო გაერთიანებებში, რომელთა შექმნის ეკონომიკური და ტექნიკური საფუძვლები უკვე მუშავდება რაიონში.

მიუხედავად ამისა, რომ წითელწყაროს რაიონი რესპუბლიკაში მექანიზაციის დონით პირველ ადგილს არავის უთმობს, ენერგოშეიარაღებით განებივრებული ჩვენი ვარ. რაიონში კულტურული მეწამთმოქმედების ყოველ ჰექტარზე 2,2 ცხენის ძალის ენერგოიაღჭურვილობა ძოდის, ხავარგულზე — 0,75, ხოლო ეროვნულ მომუშავეზე — 14 ცხენის ძალა, რაც ხაერთო ხაკავშირო ხაშუალო მაჩვენებელზე 30 პროცენტით დაბალია. ხაქმეს ისიც ართულებს, რომ რაიონის ვენახების ძირითადი მასივები ხოფლებიდან ხაშუალოდ 25-30 კილომეტრით არის დაშორებული და ხშირად ტრანსპორტის ნაკლებობის გამო დილის 6 ხაათზე ხამუშაოდ გამოსული კოლმეურნეები ვენახებამდე 11 ხაათზე ძლივს აღწევენ. ეს ხდება იმის გამო, რომ მანქანებს ორ რეისად გადაყავთ ხალხი. ავტობუსების შეძენა კი, მიუხედავად იმისა, რომ ფული ხაკმაოდ გვაქვს, პრობლემად რჩება.

ახეთივე წინააღმდეგობები გვეღობება მშენებლობის ხაქმეშიც. ეხლა ისეთი ორგანიზაციის მოძღვნა, რომელიც კოლმეურნეობას 2-3 წელიწადში მეცხოველეობის კომპლექსს აუშენებდა და ხამუშაოს 10 წელიწადს არ გაჭიანურებდა, როგორც ეს ჩვენი კულტურის ხახლის მშენებლობაზე ხდება.

როგორც ეთქვით, მიდწეულს ვერ დაკმაყოფილდი. ხუთწლედის მესამე, დამკვრელურ წელს ახალი ვალდებულებანი ვიკისრეთ: ვაწარმოეთ 11 ათას ტონა მარცვლეულს, 5.000 ტონა ყურძენს, თითოეულ ჰექტარზე მივიღეთ 35 ცენტნერ მარცვლეულს, 30 ცენტნერ ყურძენს. ხახელმწიფოს მივყადით 6.000 ტონა მარცვლეულს, 4.500 ტონა ყურძენს, 600 ტონა ხორცს, 2.200 ტონა რძეს, 40 ტონა მატყლს, თითოეულ ძროხაზე მივიღეთ 2.500 კილოგრამ რძეს, თითოეულ ცხვარზე — 2,8 კილოგრამ მატყლს. ყოველ 100 ნერგზე მივიღეთ და გამოვზრდილი 86 ბატკანს, ან ძროხაზე — 88 ხბოს, ერთ ნეზვზე — 22 ბოკს, ავთოხისეთ 100 ჰექტარ ახალ მიწას, 20 ჰექტარ ხავარგულზე ამოვძიერკვავთ ჯაგნარს.

ჩვენ ეს ვალდებულებები ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგისათვის ვიკისრეთ, მაგრამ მათ უთუოდ შესრულებაზე ერთხელ კიდევ გვქონდა საუბარი მაშინ, როცა დედაქალაქად დაბრუნებისთანავე პლენუმის შეაბეჭდილებების გასაცნობად. მიხი გადაწყვეტილებების განხორციელების ღონისძიებების დასახვისათვის მოსათათბირებლად შეეკრიბე ზემოქედელები. ამ შეხვედრაზე ჩვენ ხაქმიანად ვილაპარაკეთ პლენუმის მასალებიდან, მიხი დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე კოლმეურნეობის კონკრეტულ ამოცანებზე. ამ საუბარმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ პლენუმის გადაწყვეტილებების ოპერატიულად და წარმატებით განხორციელება დღად არის დამოკიდებული იმაზე, თუ თითოეული მშრომელი როგორ ზუსტად ქონახავს თავის ადგილს სოფლის მეურნეობის ალმავლობისათვის დაწყებულ ხალხთო-ხახალხო ლაშქრობაში.

Ა. ᲙᲝᲑᲐᲫᲔ,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ!

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲦᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კოლექტივის წინაშე მეათე ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას—აიყვანონ თაღოვანი კაშხალი 170 მეტრ შუალედურ სიმაღლეზე, აიცხონ წყალსაცავი გათვალისწინებული ნაშენაგებიდ, მთლიანად შეასრულონ ხუთმეტრიანი ხადაწნეო-ხადერივაციო გვირაბის სამუშაოები, დაამთავრონ ხამშენებლო-ხამონტაჟო სამუშაოთა ასამოქმედებელი მოცულობა პეხის მიწისქვეშა შენობაში.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამკვრელურ წელს განსაკუთრებით დიდია ენგურჰესის—ამ უნიკალური მშენებლობის გეგმები და მასშტაბები, რომლის წარმატებით დამთავრება მისი ინტერნაციონალური კოლექტივის საქმიანობაზე, პარტიული კომიტეტის, ძირეული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის სისტემატურ კონტროლზე უშუალოდ არის დამოკიდებული. მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ახლა მთავარია უნიკალური კაშხალის მეორე რიგის სამუშაოების დროზე დამთავრება. ამიტომ კარგი საქმე გაკეთეთ ენგურჰესის მშენებლობის პარტიულმა კომიტეტმა, როცა კაშხლის მშენებლობის მონაწილე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების — კაშხალმშენის სამმართველოს, დამზმარე საწარმოო გაერთიანებების, „სპეციჰიდრომონტაჟის“ ტრუსტის ენგურის სამონტაჟო უბნის, მექანიზებულ სამუშაოთა სამშენებლო სამმართველოს, მესამე ავტოსანრმოო კანტორის, საკავშირო გაერთიანება „ენგურჰესჰიდროსპეცმშენის“ სამმართველოს პარტიულადი პარტორგანიზაციების ერთობლივი ღია პარტიული კრება მოაწყო, რათა მშენებლებსა და მემონტაჟეებს ჯამოეთქვათ თავიანთი გულის ნადები, ერთმანეთისაგმი პრეტენზიები, რა უჭირთ და რა ულხინთ, რომელი სამშენებლო ორგანიზაცია ეწევა უკან საერთო სახალხო საქმეს. კრებაზე მოწვეული იყვნენ. ბერეული მატერიალურ-ტექნიკური, სამუშაოთა მომარაგების, საბინაო-კომუნალური სამმართველოების და სხვა საშსახურების ხელმძღვანელები. მუშაობის ასეთი მეთოდი პარტიკომიტეტმა მშენებლობის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ერთი წელია, რაც დანერგა. ამან საქმეზე კეთილი გავლენა იქონია.

ღია პარტიული კრება შესავალი სიტყვით გახსნა კაშხალმშენის სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა კ. ბაობამ.

ღიღის წესრიგში იდგა საკითხი: თიოოოვანი კაშხალის მშენებლობის მონაწილე ორგანიზაციების ამოცანები ჯვრის წყალსაცავის შემდგომი შევსებისა და გაბაფხულის წყალდიდობის ჩამონადენის კაშხალის ტანში გატარებით უზრუნველყოფის შესახებ. მოხსენება გააკეთა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ა. დოლმატოვმა.

მშენებელი კომუნისტები თავიანთ კრებაზე მოვიდნენ ახალი წარმატებებით.

მაგრამ როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა, მეტი დრო დაუთმეს ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის გზებს. მკაცრად გააკრიტიკეს ისინი, ვინც გულგრილად ეკიდება მინდობილ საქმეს, მოითხოვდნენ, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, პარტიული ორგანიზაციები მეტ პრინციპულობის იჩენდნენ ნაკლოვანებათა დასაძლეველ.

მომხსენებელმა ა. დოლმატოვმა, ასევე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კაშხალმშენის სამმართველოს უფროსმა პ. ბიჩეკმა, საკავშირო გაერთიანების ჰიდროსპეციმშენის ენგურის სამმართველოს უფროსმა ს. ბარაბაშკინმ, „სპეციჰიდრომონტაჟის“ ტრუსტის ენგურის სამონტაჟო უბნის მთავარმა ინჟინერმა ა. კორნეევმა, ბეტონის ქვედა ქარხნის მუშამ ვ. ბაშკოვმა, მე-3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა გ. ეფხვარმა, სპეციჰიდროელექტრომონტაჟის ენგურის უბნის სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. მილოვნოვმა აღნიშნეს, რომ წლეულს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 780 ათასი კილოვატსაათი სამძლავრის პირველი სამი აგრეგატი. ამისათვის საჭიროა ჩაეწყოს 700 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, აქედან კაშხლის ტანში 480 ათასი კუბური მეტრია ჩასაწყობი. ენგურჰესის მშენებლობის მთელ სისტემაში კაშხალმშენის სამმართველო ეს ის მთავარი რგოლია, რომლისადმიც მიმართულია მთელი ყურადღება. კაშხალს აშენებს ექვსი სუბმოიჯარადრე ორგანიზაცია. საკმარისია რომელმე სამმართველომ ვერ უზრუნველყოს მიცემული დავალების შესრულება, რომ მაშინვე კაშხალის მშენებლობაში თავს იჩენს ჩამორჩენა. დამზმარე საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მუშაობაში ყველაზე სუსტი რგოლი გამამდიდრებელი ფაბრიკა-სათვის ინერტული მასალების წარმოებაა, რაც უარყოფით გავლენას იხდენს ბეტონის დამზადებაზე.

სპეციჰიდრომონტაჟის კოლექტივმა, რომელიც ერთ-ერთი გადამწყვეტია კაშხალის მშენებლობაზე, ვერ უზრუნველყო კაბელამწეების ინტენსიური მუშაობა.

კრებაზე აღინიშნა, რომ მშენებლობაზე ორე თუ ეფექტიანად იყენებენ ტექნიკას. მიგალითად, აქ დიდი ხნის განმავლობაში კოშკურა ამწეებით დღე-ღამეში 200 კუბურ მეტრზე მეტ ბეტონს ვერ აწყობდნენ, ანალიზმა ცხადყო, რომ ამ მიმართულებით რეზერვები სრულყოფილად არ არის გამოყენებული. მექანიზებულ სამშართველოს კოლექტივის ხელმძღვანელობამ მთელი სერიოზულობით შეისწავლა მდგომარეობა. გაირკვა, რომ ექმბილ ოკეგებად აურაცხელი დრო. ამ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად განხორციელდა კონკრეტული ღონისძიება, ამაღლდა მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება, შეფერხებას გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზით ბეტონის ჩაღების მოცულობა ერთიორად გადიდდა, ხოლო კოშკურა ამწის მწარმოებლობა 400 კუბურ მეტრამდე გაიზარდა.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ, თუ კოშკურა ამწის მექანიზატორებმა შეძლეს ნაკლოვანებანი უმოკლეს დროში დაეძლიათ, ეს ვერ შეძლეს სალობუსნე მოუშავეებმა. მათი მიზეზით ჯერ კიდევ დიდია კაბელამწეების მოცდენა.

ახლა მშენებელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჯვრის წყალსაცავის ავსების მეორე ეტაპის სამუშაოები.

როგორც მოკამათეებმა აღნიშნეს, მშენებელთა საქმიანობის საფრთხეს უქმნის ის, რომ სპეციჰიდროელექტრომონტაჟის სამმართველო არ აწყობს ხელ-ბოსტნეულთან, რძის ნაწარმოთა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონლით მომარაგებულ. ვერც სამრეწველო საქონლის დროულად მოწოდებაში დაიკვეხნიან მომარაგების მუშაკები. გარდასაქმნელი აგრეთვე საყოფაცხოვრებო ობიექტების საქმიანობა.

კრების მუშაობა შეაჯამა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ჭითანავამ.

კრების დადგენილებაში საგანგებოდ ჩაიწერა, რომ პარტიული ორგანიზაციები ვერ შეურიგდებიან ჩამორჩენას, ნაკლოვანებებს, მუშაობაში, მინდობილი საქმისათვის კომუნისტთა უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას.

კრების დადგენილებაში ხაგანგებოდ ჩაიწერა, რომ პარტიული ორგანიზაციები ვერ შეურიგდებიან ჩამორჩენას, ნაკლოვანებებს, მუშაობაში, მინდობილი საქმისათვის კომუნისტთა უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას.

მუშაობის უკეთ წარმართვისათვის მიღებულ იქნა კაშხალის მშენებლობის მონაწილე ორგანიზაციების ერთიანი ღონისძიება და ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: ენგურჰესის სპეციჰიდროელექტრომონტაჟის მშენებლები ამონტაჟებენ ოლორის ღია გადახსნელს.

Ш. ᲨᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲘᲡ-ᲤᲝᲢᲝ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ

„ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ვალდებულება ქაღალდზე“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ბიათურის ხაქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ნოზაძე გვაცნობინებს, რომ ხაშენ მახალათა კომბინატის მისამართით მოყვანილი ფაქტები ხინამდვილეს შეესაბამება.

ბიათურის ხაქალაქო კომიტეტის მიერომ ამსჯელა ხაშენ მახალათა კომბინატში არსებული ნაკლოვანებების შესახებ და მიიღო ორგანიზაციული ზომები. კომბინატის დირექტორი თ. ჩიკვაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მთავარ ინჟინერს ლ. შეუღლაძეს და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ე. მეტრეველს გამოეცხადათ ხაყვედურა.

ბიურომ დაავალა დარკვეთილ ხაშენ მახალათა ხაწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ო. კუპატაძეს შეიმუშაოს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი კონკრეტული გეგმა და განხორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებები კომბინატში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიის ხაქალაქო კომიტეტს ხაორგანიზაციო და ხარეწველო-სატრანსპორტო განყოფილებებს დაევალათ სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ ხაშენ მახალათა კომბინატის პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, დაუწესონ კონტროლი მათ მუშაობას.

ᲛᲐᲕᲜᲔ ᲓᲐᲠᲓᲘᲛᲐᲜᲓᲝᲑᲐ

ᲐᲮᲚᲔᲡᲘ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, სადაც ლაპარაკი იყო რესტორან „ორიგვში“ დახახარჯზე ზედმეტად თანხის მიცემის შესახებ. იმასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გ. ხელაძემ რედაქციას აცნობა:

„კომუნისტში“ დაბეჭდილი სტატია — „მავნე დარდიმანდობა“ განიხილა თბილისის საჩვენებელი რესტორნების ტრესტმა. საერთო კრებაზე მკაცრი შეფასება მიეცა მამტანის შ. მარღიშვილის მოქმედებას, რომელიც გაიცა კოლექტივმა.

კომუნისტმა შ. მარღიშვილმა კრებას აღუთქვა, რომ ამიერიდან ებრძოლებს კოლექტივში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი ხაზკვების ყველა ხაწარმოო დირექტორები და ხაჩვენებელი რესტორნების ტრესტის ახალი ხელმძღვანელობა, რომ კონტროლის გაძლიერების, ანგარიშწორების ახალი წესის ზუსტად დაცვის გზით უზრუნველყონ მომხმარებელთა მომსახურების ხაქმეში ხრული წესრიგის დამყარება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ

ᲠᲣᲡᲓᲐᲜ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔ-80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

80 ᲬᲚᲘᲡ წინათ, 1898 წლის მარტში შეიკრიბა რსდმპ პირველი ყრილობა. ყრილობის მოწვევა იყო ლოგიკური შედეგი იმ მრავალმხრივი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა, როგორსაც რუსი მარქსისტები ეწეოდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შესაქმნელად.

პარტიის შექმნის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ეპოქის მიერ. კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის ზიჩენამ, ანტაგონისტურმა წინააღმდეგობამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, რაც კიდევ უფრო გამწვავდა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში, მოითხოვა პროლეტარიატის ძალების შემჭიდროება-დარაზმვა. პროლეტარიატს თავისი მიზნები პარტიის მეშვეობით უნდა განეხორციელებინა.

ამ დროისათვის მთავრდება მეცნიერული რევოლუციური თეორიის ძებნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია. სხვადასხვა თეორიის პრაქტიკულად გამოცდისა და კრიტიკული დაპირისპირებით რევოლუციურ მუშაობა მოძრაობა მარქსიზმამდე მივიდა. იწყება ახალი ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში — ლენინური-ეტაპი.

დაიწყო მარქსისტული პარტიის პროგრამის შემუშავება. ისახება ამოცანა პარტიის ყრილობის მოსაწვევად, ყრილობას უნდა შეექმნა პარტია, რომელიც ერთიანი პროგრამითა და ტაქტიკით შეიარაღებდა პროლეტარიატს და წაიყვანდა არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭირო იყო „შემუშავებულიყო „ჩვენი პირობებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმა ორგანიზაციისა სოციალ-დემოკრატიზმის გასაღვიძებლად და მუშების შესაკავშირებლად პოლიტიკურ ძალად“, — წერდა ვ. ი. ლენინი.

რსდმპ-ს დასაარსებლად საერთო პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ აზრი პირველად გამოთქვა ვ. ი. ლენინმა. 1895 წლის დეკემბერში მისი დაპატიმრების შემდეგ კი იგი მოუწოდებდა ამხანაგებს დაეჩქარებინათ ყრილობის მოწვევა.

დიდი როლი ითამაშა ყრილობის მოწვევის საქმეში ვ. ი. ლენინის ნაშრომმა „რუსი-სოციალ-დემოკრატების ამოცანები“. ეს ნაშრომი დაწერილია ს. შუშენსკოეში, მასში ოსტატურად არის ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მარქსისტული პლატფორმა.

პარტიის პირველი ყრილობა გაიხსნა 1898 წლის 1 (14) მარტს მინსკში. ყრილობას ცხრა დელეგატი ესწრებოდა. ისინი წარმოადგენდნენ: პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ეკატერინოსლავის ბრძოლის კავშირებს, ერთი დელეგატი ჰყავდა ებრაელ მუშათა პარტიას—ბუნდს, ორი დელეგატი — „რაბოჩაია გაზეტას“. ცარიზმის პატონობის პერიოდში ეს იყო ერთადერთი ყრილობა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გაიმართა. ყველა დანარჩენი ყრილობები 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე იუნოელთში იმართებოდა.

ყრილობის სხდომები არალეგალურად და უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა. სასტიკი პოლიტიკური რეჟიმი იგრძნობოდა ყრილობის მსვლელობის ყოველ წუთში. სწორედ რეჟიმის თარეშის შედეგი იყო ის, რომ ყველა ბრძოლის კავშირმა ვერ შესძლო ყრილობაზე თავისი დელეგატის გამოგზავნა. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მეთაური ვ. ი. ლენინი იმის გამო, რომ გადასახლებაში იმყოფებოდა, ყრილობას არ დასწრებია. ამან სათანადო ღიღი დაასება ყრილობასა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სამ დღეს 1 (14), 2 (15) და 3 (16) მარტს ყრილობის სულ 6 სხდომა გაიმართა. კონსპირაციული მიზნით ოქმება არ დგებოდა. იწერებოდა მხოლოდ რეზოლუციები. დელეგატთა რაოდენობის მიხედვით ეს იყო ყველაზე მცირერიცხოვანი ყრილობა. მას დელეგატები სათათბირო ხმის უფლებით არ ესწრებოდნენ.

პარტიის პირველმა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთიან მარქსისტულ მუშათა პარტიად გაერთიანებინათ. ყრილობაზე გაიმართა ქამთა პარტიის სახელწოდების შესახებ, წამოყენებული იყო რამდენიმე ვარიანტი „რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტია“, „რუსული მუშათა პარტია“, „რუსული მუშათა კავშირი“. სახელწოდება „სოციალ-დემოკრატიული“ უთანხმოებას არ იწვევდა. შემოტანილ იქნა წინადადება პარტიას ეწოდოს „რუსეთის“, რაც მიღებულ იქნა კიდეც. ეს სახელწოდება ხაზს უსვამდა, რომ იგი რუსეთის ყველა ხალხის მოწინავე მუშებს აერთიანებდა.

ნაშრომში „ეროვნების ნაციონალური საკითხებზე“ ვ. ი. ლენინმა მოიწონა ეს სახელწოდება და ის ყრილობის დამსახურებად ჩაითვალა.

პარტიის სოციალ-დემოკრატიული ეწოდა მისი დასახული მიზნის შესაბამისად. მას უნდა ეწარმოებინა ბრძოლა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი — სოციალისტური (ბურჟუაზიის წინააღმდეგ) და დემოკრატიული (ცარიზმის წინააღმდეგ) მიმართულებით.

პარტიის უმაღლეს ორგანოდ აღიარებულ იქნა მისი იდეოლობრივი კომიტეტების წარმ

საკლესიო იტყობინება

მსოფლიოს ამბები

ბელგრადის შეხვედრა

ბელგრადი, (საკლესია). ბელგრადის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის მიღების შემდეგ გამართა სრულიად ევროპის თანამშრომლობა გარემოს დაცვის საკითხებზე ოცდათხუთმეტივე მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელთა სამოლოო გამოსვლები.

საბჭოთა სახელმწიფოსათვის ჰელსინკის მორიგებათა განხორციელების ხაზი გახდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის შემადგენელი ნაწილი, თქვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ი. მ. ვორონცოვმა. ახლანდელ ფორუმზე ყველა მონაწილემ აღნიშნა, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ოლამპიაციეს იმის საჭიროებაზე, რომ კვლავაც ძალ-ღონე არ დაიშურონ ჰელსინკში ნალმოწერილი სამოლოო აქტის დებულებათა სრული მოცულობით განხორციელებისათვის. ერთსულოვნება ამ საკითხის გამო, რომელიც შემაჯამებელ დოკუმენტშია ასახული, ბელგრადის შეხვედრის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგია.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა საბჭოთა დელეგატმა, ბელგრადის შეხვედრაზე მოვიდა ვრცელი პროგრამამ, რომელიც მიზნად ისახავს სამოლოო აქტისა და მომავლის ამ პრაქტიკულ წინადადებათა განხორციელებას, როგორიცაა პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შეიარაღების სამხედრო დაძაბულობის შენელებით, შემცირდეს სამხედრო წინააღმდეგობა ევროპაში ბალანსის დაცვით, ევროპის ეროვნული ეკონომიკა ნაკლებ ეფუძნოს სამხედრო ბიუჯეტებზე.

ბელგრადის შეხვედრა, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის შეთაურმა რ. დვორჟაკმა, საჭიროა მეტი ენერგიით გამოვძებნოთ გზები, რომ ეფექტიან შედეგებს მივაღწიოთ სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების დარგში. პირდაპირ უნდა შეეხედოთ ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების, განიარაღების, სამხედრო კონფრონტაციის საშიშროების შემცირების საჭიბორორტო პრობლემებს. შეუძლებელია, ერთის მხრივ, ვიღაცწოდეთ ნდობის განმტკიცების კერძო ღონისძიებებისათვის და, მეორე მხრივ, შეექმნათ ახალი სახეობის იარაღი და გავზარდოთ სამხედრო ბიუჯეტები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ე. კრანბაჩმა ხაზი გაუსვა, რომ ბელგრადის შეხვედრამ დაადასტურა სრულიად ევროპის თანმიმრის სამოლოო აქტის როგორც მონაწილე სახელმწიფოთა მოქმედების საერთო პროგრამის ცხოველმყოფლობა.

ჰელსინკის მორიგებანი ისეთი ყოველისმომცველი და შორს გამიზნულია, რომ შეუძლია ღიღხანს დადებითი ზემოქმედება მოახდინოს ევროპაში სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. იმავე დროს ე. კრანბაჩმა აღნიშნა, რომ სამაში იქნებოდა დაძაბულობის შენელებისათვის გამოგეყენებინა — როგორც ამას ზოგიერთები ჩიდიან დასავლეთში — საბოლოო აქტის ცალკეული დებულებანი იმ მიზეზებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგება ჰელსინკის მორიგებების სულისკვეთებასა და შინაარსს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ა. გოლდბერგმა განაცხადა, რომ ბელგრადის შეხვედრამ დაადასტურა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევროპის კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის პროცესს, მაგრამ ამერიკის წარმომადგენლის გამოსვლის ძირითადი ნაწილი შედგებოდა დემაგოგიური მსჯელობისაგან, რომელთა მიზანი იყო შეენიღბა ამერიკის შეერთებული შტატების შეუწყნარებელი ჩარევა სხვა ქვეყნების სამინაო საქმეებში.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა მ. დობროსელსკიმ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა შეუდგეს ნეიტრონული ბომბის წარმოებას და განლაგოს ეს იარაღი დასავლეთ ევროპაში, თუ ეს მოხდება, თქვა მან, ეს ნიშნავს გამალებული შეიარაღების ახალ ეტაპს და დაძაბულობას შექმნის ევროპის კონტინენტზე.

საფრანგეთის დელეგატმა ა. ბეტანკურმა ხაზი გაუსვა, რომ სამოლოო აქტი იყო და იქნება დაძაბულობის შენელების პროცესის მთავარი გრძელვადიანი პროგრამა.

ამით ბელგრადის შეეხვედრამ მუშაობა დაამთავრა.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

ბაღდადი

10 მარტს ბაღდადში გაიმართა ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საერთაშორისო და არაბეთის ვითარება, აგრეთვე ერაყის შინაპოლიტიკური მდგომარეობა. პლენუმმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ საკითხებზე.

პლენუმმა მოიწონა იმპერიალიზმის, ხალიხშიხა და რეაქციის წინააღმდეგ არაბი ხალხების ბრძოლისადმი სოლიდარობის განცხადება.

სან-ხოსე

სალვადორის შეიარაღებული ძალები დარაზმეს ომისთან დაკავშირებით, რომ 12 მარტს იქ მომდინარეობდა საკონსტიტუციო კრებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. მმართველი სამხედრო რეჟიმის „სცენარით“ თითქმის ყველა ადგილი პარლამენტში უნდა მიიღოს ეროვნული შერიგების პარტიამ, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის, მემამულეების, უმაღლესი სამხედრო წრეებისა და საშვდელოების ინტერესებს გამოხატავს. ოპოზიციის ეროვნულმა კავშირმა, რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე პროგრესულ ძალებს, უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

ჰაიკა

ნიდერლანდის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო სახსრების შეგროვება არჩევნებისწინა კამპანიის ფონდში პროვინციული შტატების (მართვის ადგილობრივი ორგანოების) არჩევნების წინ, რომელიც 29 მარტს გაიმართება. კომუნისტებმა თავიანთი კანდიდატები დაასახელეს ქვეყნის 72-ივე ხაარჩევნო ოლქში. გაზეთ „ვარბეიდში“ და სპეციალურად გამოქვეყნებულ ბროშურებში ნიდერლანდის კომპარტია განმარტავს თავის პოზიციას, განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს თავისი რიგების და მხარეში გავლენის გაძლიერების საქმეში.

ფოტოობიექტივი ამხილებს

კვლავ რთული და დაძაბული ვითარებაა ნიკარაგუაში, სადაც წარმატებით გაიმართა საყოველთაო 24-საათიანი ხაპროტესტო გაფიცვა სომოხას დიქტატურული რეჟიმის წინააღმდეგ. ბევრ ქალაქში გრძელდება შეტაკებანი ჯარისკაცებსა და დემონსტრანტებს შორის, რომლებიც მოითხოვენ სომოხას დაუყოვნებლივ გადადგომას ხალხმეწიფოს მეთაურისა და ეროვნული გვარდიის მთავარხარდლის პოსტებიდან. მხეცურად გაუსწორდნენ დედაქალაქში უურნალისტებსა და სტუდენტებს — მთავრობამ ხაწინააღმდეგო მანიფესტაციის მონაწილეებს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ რეაქციული რეჟიმის რეპრესიების წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრანტთა დარბევის მსხვერპლი ლეონში.

აპ-ხაპდნის ფოტო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ჯიმი კარტერს

ბატონო პრეზიდენტო!

როგორც შეგატყობინეთ, უახლოეს მომავალში თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება შეერთებულ შტატებში ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის — ნეიტრონული ბომბის წარმოების შესახებ.

1945 წელს იაპონიის ქალაქების ატომური დაბომბვის შესახებ ხაბეიდისწერო გადაწყვეტილებისა და 1950 წელს თერმოატომური ბომბის შემუშავების დაწყების შესახებ განკარგულების დროიდან, შეიძლება ითქვას, ამერიკის პრეზიდენტების არც ერთ გადაწყვეტილებას არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა ბირთვული იარაღის დარგში შეერთებული შტატების მომავალი კურსის განსაზღვრისათვის, როგორც ნეიტრონული ბომბის წარმოების შესახებ თქვენს დასტურს ან უარყოფას. თქვენს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმიტომ, რომ იგი უნდა მიიღოთ ამ პერიოდში, როცა კაცობრობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ხელმემწყობი პირობები შეთანხმებული საერთაშორისო ღონისძიებებისათვის გამალებული შეიარაღების ასალაგმავად.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში თქვენ ამბობდით, რომ საჭიროა კაცობრობის თავიდან აცილოთ ატომური კატასტროფა. ამ თქვენმა სიტყვებმა ბევრ ადამიანს ამედი აღუძრა, რომ შესაძლებელია შეერთებული შტატების აქტიური მონაწილეობა ღონისძიებებში, რომელთა მიზანია შეიქმნას ისეთი მსოფლიო, სადაც არ იქნება ატომური ბომბი.. ახლა, ეჭვი არ არის, თქვენს განკარგულებაშია კიდევ უფრო მეტი მონაცემები, რომლებიც საჭიროა ბირთვული იარაღის ახალ თაობათა შექმნის ყველა საშიში შედეგის შეფასებისათვის. არის აგრეთვე რეალური შესაძლებლობა უარი თქვათ იმ ნაბიჯზე, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებდა ისედაც ფრიად ძნელი ამოცანის გადაჭრას — „კვლავ ჩავაბრუნოთ ბოთლში ატომური ჯინი“.

ნეიტრონული ბომბი არ არის თავდაცვითი იარაღი, რომელიც ხელს უწყობს აგრესიის შეკავებას. ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირი უკვე დღეს ცდილობს ნეიტრონული ბომბის საბრძოლო მახასიათებლები გამოიყენოს იმის დასასაბუთებლად, რომ შეზღუდული ატომური ომი „მისაღებია“. ასეთი ფილოსოფია ფრიად ხაშიშია მშვიდობის საქმისათვის. ჩვენ [illegible] ავტორიტეტან [illegible] ლებიც [illegible] სიძლავრის [illegible] ომის [illegible] ომიდან [illegible] ომი.

ანა გვგონია სერიოზულად ჩაითვალოს არგუმენტები, რომ ახლანდელ სიტუაციაში ნეიტრონულ ბომბს შეუძლია განამტკიცოს შეერთებული შტატების ძლიერება და უფროსობა. ისტორია მოწმობს, რომ დღემდე ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა დიდი ხნის განძღვალობაში შეეინარჩუნებინა მასობრივი მოსპობის ამა თუ სამეფოებრივ მონოპოლია. ამას მოწმობს ატომური ბომბისა და თერმოატომური იარაღის, სტრატეგიული ატომური წყალქვეშა ნავებისა და გასაყოფ ტუტანი [illegible] კეტების ისტორია. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თუ შეერთებულმა შტატებმა აწარმოა ნეიტრონული იარაღი, მისი მოხმარებია ამ იარაღზე მეტად ხანმოკლე იქნება.

გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის წარმოების შესახებ იქნებოდა მხოლოდ ახალი ეტაპის გამალებული შეიარაღებისა, გაართულებდა ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებას შეიარაღებისშემი კონტროლის შესახებ, ხოლო ატომურ ბალანსს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის უფრო მაღალ, უფრო ძვირადღირებულ და უფრო საშიშ დონეზე დაყენებდა.

ნეიტრონული ბომბის საკითხს აქვს აგრეთვე წმინდა ჰუმანიტარული ასპექტი. ყოველ ადამიანს ჩვენს პლანეტაზე აქვს ატომური ომისაგან, ბუნებრივი საფრთხისაგან თავდაცვის ბუნებრივი უფლება. თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერთა ჰუმანისტური დეკლარაციების გულწრფელობა მოწმდება უეჭველად ყოველთა მათი პრაქტიკული მოღვაწეობით, რომელიც მიზნად ისახავს ამ უფლების უზრუნველყოფას. ნეიტრონული ბომბი, რომელიც ამცირებს ატომურ ზღვრულს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრობას.

სწორედ ამიტომ, ბატონო პრეზიდენტო, მოგიწოდებთ ნუ იხელმძღვანელებთ წარმოვალი მოსაზრებებით. დარწმუნებული ვარო, რომ ორივე მხრის მიერ ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე უარის თქმა მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგებისაკენ წინსვლის ოუცილებელი პირობა ხდება.

ა. ჰ. ალექსანდროვი — აკადემიკოსი, შვეიცის ხაინუინრო მეცნიერებათა სამეფო აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

ა. ხ. ალექსანდროვი — აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი

ი. ბ. ალიმარინი — აკადემიკოსი, იაპონეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ვ. ა. ამბარცუმიანი — აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, შვეიცის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის, ლონდონის სამეფო საზოგადოების, დეი ლინჩეის ეროვნული აკადემიის (იტალია), საფრანგეთის ინსტიტუტის მეცნიერებათა აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი

ნ. ბ. ბასოვი — აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, შვეიცის ხაინუინრო მეცნიერებათა სამეფო აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი

ვ. ვ. ბელოუსოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შვეიცის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ბ. ა. ბორისოვი — აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ა. ე. ბრაუნბეკერი — აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ე. ვ. ვინოგრადოვი — აკადემიკოსი, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ლონდონის სამეფო საზოგადოების, დეი ლინჩეის ეროვნული აკადემიის (იტალია), საფრანგეთის ინსტიტუტის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

მ. ხ. გილიაროვი — აკადემიკოსი, იტალიის ენტომოლოგიის ეროვნული აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

ნ. ა. დუბინინი — აკადემიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“, იუგოსლავიის ზაგრების მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ვ. ხ. ემელიანოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ლ. ვ. კანტოროვიჩი — აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ლონდონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“ უცხოელი წევრი

ლ. ვ. კანტოროვიჩი — აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ბოსტონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ლონდონის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, გერმანიის ბუნებისმეტყველთა აკადემიის „ლეოპოლდინის“, ბოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ინდოეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ინდოეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, ინდოეთის ეროვნული

მოგითხრობთ დედაქალაქებზე • მოსკოვი

საშოგლოს გული

დეკემბერი, რომელიც 1918 წლის 12 მარტს გაიგზავნა, ეწერა: „ფედერაციული საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა, სახალხო კომისართა საბჭო და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოსკოვში ჩამოვიდნენ. მისამართია: მოსკოვი, კრემლი, სახკომსაბჭო და სადეკანაკ“.

საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადმოსვლის, ახალ დედაქალაქში ვლადიმერ ილიასძის პირველი დღეების შესახებ ესაუბრა საკდესის კორესპონდენტს ი. პ. მალინოვსკი. 1918 წლის იანვარში იგი მოსკოვის კრემლის კომენდანტის მორიგე ადიუტანტად დაინიშნა და ახლაც კარგად ახსოვს იმდროინდელი ამბები.

— როგორც ცნობილია, მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში ევაკუაციის გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიიღო სახკომსაბჭომ 26 თებერვლის სხდომაზე, მაგრამ გადმოსვლის ზუსტი თარიღი მხოლოდ გარკვეულ პირთა ვიწრო წრეს იცოდა.

3 მარტს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა მამაჩემს პ. პ. მალინოვსკის (პარტიის წევრი 1904 წლიდან, იგი კრემლის სამოქალაქო კომისრად დაინიშნა) და პრეზიდიუმის წევრს პ. გ. სმიდოვიჩს დაავალა დახვედროდნენ სახკომსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, და დაებინავებინათ ისინი მოსკოვში, — ახსენებს იური მალინოვსკი. — პეტრიდან პირველი სპეციალური მატარებლების ჩამოსვლის მომენტისათვის მოსკოვში შეიქმნა პეტროგრადიდან საბჭოთა მთავრობის ევაკუაციის საგანგებო კომისია. მისი თავმჯდომარე გახდა პ. პ. მალინოვსკი, რომელიც ერთდროულად მოსკოვის საბჭოს სარეკვიზიციო კომისიის თავმჯდომარეც იყო.

მოსკოვში დღედაღამ განუწყვეტლივ გრძელდებოდა დაბომბული მუშაობა. პირველ რიგში საჭირო იყო შეუფერხებელი საქმიანობის პირობები შეგვექმნა მთავრობის, სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულება - ორგანიზაციებისათვის. ამის მოკლე ვადაში გაკეთება კი ძნელი აღმოჩნდა, მოსკოვში არ გვეგულებოდა ამ მიზნისათვის გამოსადეგი შენობები. ვიყენებდით ყოფილ თავად-აზნაურთა და ვაჭართა სახლებს. კრემლში გადაწყდა სახკომსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობისათვის მოემარჯვებინათ ყოფილი სენატის შენობა. აქვე მოუწევდეს პატარა ბინა ვ. ი. ლენინს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სასტუმრო „მეტროპოლი“ გამოუყვეს.

ვლადიმერ ილიას ძე, რომელიც მოსკოვში 11 მარტს ჩამოვიდა, საბჭოების პირველ ხანგრძლივ სხდომაზე დასასწრებლად ჩამოვიდა, ეს ადგილი ბინა ვ. ი. ლენინს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სასტუმრო „ნაციონალში“) დაებინავდა. ამავე საღამოს გადასცა მან დასაბეჭდად სტატია „ჩვენი დღეების მთავარი ამოცანა“, რომელიც მატარებელში დაწერა. სტატია „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა. მეორე დღეს კი ვ. ი. ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასთან, ი. მ. სვერდლოვთან და ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩთან ერთად კრემლში ჩავიდა. სწორედ იმ დღეს კრემლში მე ვმორიგეობდი. ილიჩის ჩამოსვლას არავინ არ ელოდა, მერე კი ყველამ გადაგო.

ლენინმა ყურადღებით დათვალიერა კრემლი, დაინტერესდა ოქტომბრის ბრძოლების დღეებში მომხდარი ნგრევის ხასიათით, იკითხა, როგორ იყო დაცული მუზეუმის სამდიდრენი, კერძოდ საქორწილისა და წასნაგოვანი პალატები, ბიბლიოთეკა მისი უძვირფასესი წიგნებითა და ძველი ხელნაწერებითურთ და ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ყველაფერი საგულდაგულოდ იყო დაცული. კრემლს რომ ათვალიერებდა, ლენინმა უწინარეს ყოვლისა იკითხა, სად და როგორ დააბინავეთო სახკომსაბჭო და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ამავე დღეს, 12 მარტს, ვ. ი. ლენინი პოლიტიკურ მუზეუმში გამოვიდა და მოსკოვის საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა თებერვლის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით მიმდინარე მომენტის შესახებ. ეს ლენინის პირველი გამოსვლა იყო მოსკოვში საბჭოთა მთავრობის აქ გადმოსვლის შემდეგ.

14 მარტს საბჭოების სახლში გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო ყრილობა, რომელმაც თავის სამოლოო სხდომაზე 16 მარტს მიიწონა და დააკანონა დედაქალაქის პეტროგრადიდან მოსკოვში გადმოტანა. ი. მ. სვერდლოვმა ყრილობაზე გამოსვლისას თქვა: „რა გულდაწყვეტილიც უნდა ვიყოთ იმის გამო, რომ წითელ პიტერს ვეთხოვებით, მტკიცედ შეგვიძლია გვწამდეს, რომ მოსკოვი პეტროგრადზე ნაკლებ წითელი არ იქნება“. ასე გახდა რევოლუციური ტრადიციების ქალაქი, რუსეთის ისტორიული ცენტრი მოსკოვი მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი.

ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი, სსრ კავშირის დედაქალაქი მოსკოვი კიდევ უფრო ძვირფასია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. აქედან ხელმძღვანელობს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი ხალხის აღმშენებლობითის შრომას, აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი სამართველო. მოსკოვში მუშავდება და მტკიცდება ხუთწლედების გეგმები, მის წიაღულ მოედანზე მიმდინარეობს ყოველწლიურად ბოლისა და ნოემბრის დღესასწაულებზე დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციები, რომლებიც საბჭოთა ძალიერებას მოწმობენ.

მოსკოვი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრია. მას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დედაბოძს, შეჰყურებს მთელი პროგრესული კაცობრიობა. აქ

დან გაისმა პარტიის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამა, რომელიც ამკვიდრებს მშვიდობას, როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა უდიდეს სიკეთეს და თანამედროვე კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვან პირობას.

„...მოსკოვი ყველას დედაქალაქია. ყველა მას შეჰყურებს. და აქ მიმდინარე სასიცოცხლო ცვლილებებიც აინტერესებს და ახარებს მთელ ჩვენს ხალხს“, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებში ღრმა აზრია ჩაქსოვილი. დიახ, ყოველ საბჭოთა ადამიანს შეუძლია თქვას დედაქალაქზე — ჩემი მოსკოვიო. ყოველი ჩვენგანი მას სამშობლოს სიმბოლოდ რაცხს. გავიხსენოთ ომის წლების მოწოდება: „დიდია რუსეთი, უკანდასახევი გზა კი არა გვაქვს — ჩვენს უკან მოსკოვია!“. ეს ნიშნავდა — „სამშობლოო!

ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს შორის მოსკოვი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. მაგრამ მის ახალგაზრდობას წლები კი არ განსაზღვრავენ. მოსკოვი ახალშენებლობათა ვრანდიოზულ ფერხულშია ჩაბმული, აქ ძალუმად იგრძნობა აღმშენებლობის რიტმი. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ მოსკოვი მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის დედაქალაქებზე მეტს აშენებს. მის მოედნებზე შრომობს 750-ზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია. დედაქალაქი ყოველწლიურად გადასცემს ახალშოსახლეებს 100 ათასი კეთილმოწყობილი ბინის გასაღებს. ყოველ სამ წელიწადში იმდენი ბინა შენდება, რამდენიც ჰქონდა მთელ რევოლუციამდელ მოსკოვს, იმხანად ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად ითვლებოდა.

მოსკოვის სამშენებლო ორგანიზაციები იქცნენ ნამდვილ შემოქმედებითს ლაბორატორიებად, ხოლო ბევრი წამოწყების თაოსანთა დიდება კარგა ხანია გასცდა დედაქალაქის ფარგლებს. მთელმა ქვეყანამ იცის მოსკოვში შობილი თაოსნობანი და მხარს უჭერს მათ. მოსკოველები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას — გადავაქციოთ 1978 წელი დამკვრელური შრომის წლად, და გამოიჩინეს თაოსნობა: ხუთწლედის სამი წლის დავალებები გავანაღდოთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველ წლისთავზე.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქს ამბობენ: მსოფლიო ქალაქიაო. და ეს გაზვიადება არ არის. მოსკოვი უდიდესი საპრეზიდიუმო, სამეცნიერო, კულტურული ცენტრია. მისი მისამართების ცხობარში ნახავთ 1200-ზე მეტ გაერთიანებასა და საწარმოს, 800-ზე მეტ სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტს, საკონსტრუქტორო ბიუროს, აქ ვითარდება მრეწველობის 20-ზე მეტი დარგი. ასეთი მრავალფეროვნება ალბათ არც ერთ სხვა სამრეწველო ცენტრში არ არის. რა გინდა, მოსკოვში რომ არ კეთდებოდეს — გიგანტური ჩარხები იქნება ეს თუ მიკროხელსაწყოები, რომლებსაც შეუთარადებელი თვალით ვერც კი დაინახავ. 4.400 ნაკეთობას ამშვენებს უმაღლესი საატესტაციო მარკა — სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. პირველი ასეთი საპატიო ნიშანი გაჩნდა მოსკოვურ ნაწარმზე — ელექტრომაქანაზე, რომელიც ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ქარხანამ გამოუშვა.

ექვსი ათწლეული გაიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვი საბჭოთის დედაქალაქად გახდა. მარადიულობის სიმბოლოდ ანთია კრემლის ლალის ვარსკვლავები. მაცხოვრის კოშკის კურანტები მოსკოველ დროს თვლიან. ყოველ დილით ქვეყნის ყველა კუთხეში მიიქვს მოსკოვის რადიოტალღას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმები. ისმის მოსკოველის ხმა — ხმა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქისა.

ლ. ბერნასკონი,
საკდესის კორ.

* * *

სურათზე: მოსკოვი. კრემლის ხედი.
ა. სტმშანიშვილის ფოტო.

თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდსა და მცირე საკონცერტო დარბაზებში დაიწყო ჯაზური მუსიკის ფესტივალი „თბილისი-78“. მაყურებელთა წინაშე არაერთი საინტერესო კოლექტივი და მუსიკოს-შემსრულებელი წარდგა.
სურათზე: გამოდის საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული ხმოვნიერი ორკესტრი.
ს. კილაძის ფოტო.

ადამიანი და ბუნება

სეისმომეტრიული „გუშაგები“

თბილისში მთელ რიგ ტიპობრივ 8-და 15-სართულიან საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებზე, გარკვეული სახეობის გრუნტებზე დამონტაჟდა და ამოქმედდა თერმეტი საინჟინრო-სეისმომეტრიული სადგური და პუნქტი. სპეციალური აპარატურა იწერს შენობებისა და გრუნტების რყევებს, რომლებიც წარმოიქმნება კავკასიის ტერიტორიაზე მომხდარი ძლიერი და სუსტი მიწისძვრების დროს. ამ ჩანაწერებს მეცნიერები და მშენებელი ინჟინრები იყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე მშენებარე შენობებისა და ნაგებობების სეისმომედეგობის გაანგარიშების მეთოდების დასაზუსტებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის საინჟინრო სეისმოლოგიის საინჟინრო-სეისმომეტრიული სამსახურის განყოფილების ლაბორატორიაში, რომლის გამგებლობაშიც არიან ეს სადგურები, უკვე შეიქმნა უკანასკნელ წლებში კავკასიის ტერიტორიაზე მომხდარი მიწისძვრების, მათ შორის 1978 წლის 2 იანვარს დმანისში მომხდარი მიწისძვრის დროს ნაიადგილა და შენობების რყევის სეისმოგრამაჩანაწერების ბანკი.

ორი ასეთი სადგური რესპუბლიკის დედაქალაქში და ერთი ბიჭვინთაში მოაწყეს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა, აღნობა საქინფორმის კორესპონდენტს ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. სამკოვმა.

— სულ კავკასიაში — საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დღესტანში ამოქმედდა 30-ზე მეტი საინჟინრო-სეისმომეტრიული სადგური, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საუწყებათშორისო საბჭოს კავკასიის რეგიონული სექციის სწავლულმა მდივანმა ვ. პაპალაშვილმა. — მონაცემები, რომლებიც ამ სადგურებმა დაგროვეს და აგროვებენ, აუსებს კავკასიის სეისმოლოგიის შესახებ ჩვეულებრივ სეისმურ სადგურებში სეისმოგრამების მიერ მიღებულ ცნობებს.

შეჯამებულ ცნობებს — ჩვეულებრივი და საინჟინრო-სეისმომეტრიული სადგურების სეისმოგრამების ჩანაწერებს მეცნიერები იყენებენ კავკასიის ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და მიკრორაიონების რუკების შესადგენად. ასეთ რუკებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში საინჟინრო-სეისმომეტრიული სამსახურის შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმის თანახმად მის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ორი ახალი სადგური აშენდეს თბილისში, თითო სადგური გორსა და ბორჯომში.

ახალი საჭელეფონო სადგური

მახარაძე. ბაილეთის უკრაინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — დამთავრდა ასნობრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა, რომელსაც ინჟინერი გ. ხარაბაძე ხელმძღვანელობდა. სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებაში თავი გამოიჩინეს მუშებმა გიორგი და ვახტანგ ზოიძეებმა.

შ. ზაქარიაძე.

ახალი დიდი მატჩია

ფეხბურთი

მოსკოვის „დინამო“ — სევილიის „რეალ-ბეტისი“

თბილისელები მოუთმენლად მოელიან ევროპის ქვეყნების თასების ძალობელთა თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდების — მოსკოვის „დინამოსა“ და სევილიის „რეალ-ბეტისის“ განმეორებითი მეოთხედფინალურ ატაკის. ეს შეხვედრა ხომ თბილისის ლენინის საღლობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება 15 მარტს და ცხადია, ამ გუნდების პაექრობისადმი ინტერესი ერთიორად იზრდება.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, ყარსულში ცნობილ ფეხბურთელს აშოტაღლილ ჰკუასელს და ხვალინდელი მატჩის თაობაზე ესაუბრა:

— მაინც და მაინც რატომ აირჩიეს მოსკოველმა დინამოელებმა სევილიელებთან შეხვედრის ადგილად თბილისი?

— ეს განსაკირობა თბილისელ თანაკულუბელებთან ტრადიციულმა მეგობრობამ, ერთმანეთისადმი პატივისცემამ, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა ობიექტურობამ... მოსკოველთა და თბილისის დინამოელთა მეგობრობის სათავეები ამ გუნდების დიდ სარბიელზე გაძოსვლისთანავე იწყება. შორს ნუ წავალთ, გავიხსენოთ შარშანდელი სეზონი, მოსკოველებმა ხომ სწორედ თბილისის სტადიონი აირჩიეს სუპერ-თასის გათამაშების ადგილად. სტუმარ-მასპინძლობის, კეთილმოსურნეობის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. როცა თბილისელები უეფას თასის გათამაშების ერთ-ერთი მატჩისათვის ემზადებოდნენ, სწორედ მოსკოვის დინამოელებმა გაუწოდეს დახმარების ხელი და თავიანთი საწვრთნელი ბაზა დუთმეს მოსამზადებლად. მოსკოველთა ლესელიძეები ქალაქელ ბაზაზე ივარჯიშეს [illegible] ლა იქიდან ჩამოვლენ თბილისს.

— როდის ჩამოვლენ თბილისში თასების ძალობელთა თასის მეოთხედფინალისტები?

— დღეს დილით მოსკოველები მატარებლით ჩამოვლენ და სადგურიდან თბილისის „დინამოს“ ბაზისაკენ გაეშურებიან. მასპინძლებმა დროებით დატოვეს თავიანთი „სამფლობელო“ და იგი ძველ მეგობრებს დაუთმეს. სევილიელებს მოვლენით დღის მეორე ნახევარში. მათთვისაც შესაფერისი პირობები იქნება შექმნილი.

მოსკოვის დინამოელთა წყვრთნელს სევიდოვს არაერთხელ განუცხადებია ჟურნალ-გაზეთებში, რომ თბილისში ფეხბურთი კარგად ესმით, ამ დიდებული თამაშის ქომაგები საღად აანალიზებენ თითოეულ მომეტებს და, რაც მთავარია, უყვართ ლამაზი, ლადი და შემტევი ფეხბურთი. ახლახან მან ჩემთან საუბარიც აღნიშნა: „ჩვენ ყოველთვის მოგვიხარია თბილისში ჩამოსვლა — იქნება ეს უშუალოდ თქვენს გუნდთან თუ სხვა მეტოქეებთან შეხვედრა. უბრალოდ, გეყოფა, რომ თბილისელი მაყურებლები ობიექტურები არიან და, ცხადია, მათს მხარდაჭერასაც ვგრძნობთ“.

— მაშ ასე, ველოდებოთ „დინამოს“...

— სხვანაირად ვერც წარმომიდგენია, ქართული პოპულარული სიმღერისა არ იყოს, „დინამო“, „დინამო“... მეც ხომ ძველი დინამოელი ვარ, ჩვენი მეტოქეები იყვნენ და არიან მოსკოველი დინამოელები, მაგრამ ისინი ჩვენი მეგობრებიც იყვნენ, ახლაც არიან და კეთილაც იქნებიან.

მეხოქე — ნიკოზ ოლიხ „კოლოსი“

სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ მეტოქე იქნება ნიკოპოლის „კოლოსი“. „კოლოსმა“ ოცდამეთორმეტედფინალის პირველი შეხვედრა მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, ხოლო მეორე ფრედ დაამთავრა და 18 მარტს თბილისელებს უმასპინძლებს.

გასმეორებითი მატჩი თბილისში 24 მარტს გაიმართება.

თასის გათამაშებას გამოეთხოვა ქუთაისის „ტორპედო“. მარიალა, ბან შინ მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშს“ (2:0), მაგრამ განმეორებითი მატჩი იგივე ანგარიშით წაგო და პენალტების სერიით საბოლოო გამარჯვება „ურალმაშს“ დარჩა.

მძლეოსნობა

ახალი რეკორდი

დაკლეულია 2 მეტრი და 35 სანტიმეტრი სიმაღლე!

კვირას მილანის „პალაცო დელო სპორტის“ დარბაზში დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა IX ზამთრის პირველობა. ჩემპიონატის გვირგვინი ეკუთვნის 19 წლის ზაპორეჟიელი სპორტსმენის ვლადიმერ იაშჩენკოს ფენომენალური შედეგი სიმაღლეზე ხტომაში—ეი მსოფლიოში პირველი გადალახვა შანტაჟიურ სიმაღლეზე—235 სანტიმეტრზე გადებულ თამასას. ამერიკელი ფრანკლინ ჯეკობის მიერ თვენახევრის წინათ დამყარებული მსოფლიო მიღწევა ერთბაშად 3 სანტიმეტრით იქნა გაუმჯობესებული.

ახლა ვლადიმერი მსოფლიოს „აბსოლუტური რეკორდსმენია“, მას ხომ ღია სტადიონების უმაღლესი მიღწევაც ეკუთვნის — 238 სმ.

* * *

სურათზე: ვ. იაშჩენკო სარეკორდო ნახტომის დროს.
ეიპი-სპიდს-საქინფორმის ტელეფოტო.



ჭადრაკი

ლაფინაურლა ბ. სპასკი

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოს დიდი საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკელი დიდოსტატი ვლასტიმილ ჰორტი. ტომანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლუბომირ ლუბოევიჩთან. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ჰიუბნერი-ტალი — ყაიმი, ბალაშოვმა მოუგო ვუკიჩს. დაზავდნენ მაილსი და პორტიში, ლარსენი და ბუკიჩი, ივკოვი და ბირნი. სპასკიმ გლიგორიჩთან გამოტოვებული შეხვედრა მოიგო და 8 ქულით ლიდერობს. 7,5-7,5 ქულა აქვთ კარპოვსა და ტიმანს, ტალსა და ლუბოევიჩს — 7-7 ქულა.

ფიგურული ციგურაობა

პირველად

ალანდის დედაქალაქ ოტავაში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. მედლების უკანასკნელი კომპლექტი გაითამაშეს საცეკვო დუეტებმა. ნატალია ლინიჩუკმა და გენადი კარპონოსოვმა (სსრ კავშირი) დიდებულად წარმართეს შეჯიბრება და ოქროს მედლები მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში უძლიერესის სახელს ისინი პირველად დაეპატრონენ. შარშანდელმა ჩემპიონებმა ირინე მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა (სსრ კავშირი) მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე გავიდნენ უნგრელები — ქრისტინა რეგოცი და ანდრაშ სალაი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ოლიმპიადა

14 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — სინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.30 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“, 18.00 კინოჟურნალი, 18.10 — შვეიცარიული ინგლისური ენა, 18.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ეპეი, კოლა!“, 20.00 — „პარტიის სათავეებთან“ — რსდმპ I ყრილობის მე-80 წლისთავისადმი (მოსკოვიდან), 20.15 — მუსიკალური შესვენება, 20.20 — „საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის თეორიული მექანიკა, 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მხატვრული ფილმი „სიტყვას ვითხოვ“. II სერია (ფერადი), 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პატარა სიმღერები“ (ფერადი), 20.50 — ხალხელვეზიოო დოკუმენტური ფილმი „თეფრი აგარაკი“.

ოლიმპიადა

15 მარტი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები,06.38—„ჩვენი თბა-ბარის ჰაბეგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რუსეთელიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნ. გუდიაშვილი კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ტ. ხრენიკოვი. პირველი სიმფონია, 11.55 — „პარტიული ცხოვრება“ საუბარი „მოსსაბურების სფეროს — პარტიული ზრუნვა“, 12.15 — „ეკრანის მეცოდეები“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გ. აბაშიძის ლექსები, 12.30 — ოპერების არიები ვ. კარეზოს შესრულებით, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე — „მარადისობის კანონი“ (გაგრძელება), 14.20 — ფ. შოპენი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 17.15 — ო. თევდორაძე. „ქართული სიუჟეტის“ ფრაგმენტები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „ლიტერატურული დიალოგები“, 19.25 — ტ. ბაქრაძე. პიესები საფორტეპიანო ტრიოსათვის, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. „მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება“ (მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის „ერთიანის ქვეშ“, 21.30 — ა. შავერზაშვილი. კამერული სიმფონია, 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვიდან), 22.00 — სცენები სპექტაკლებიდან, 23.30 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

ოლიმპიადა

14 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მთავარის მოგზაცება; შოთა რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სამანიშვილის დედინაცვალი;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სამოთხის ვაშლები.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მემცენარეობის კათედრის პროფესორი

ალექსი (ალიოშა) სიმონის ძე ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქომუნისტი ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ბრ0098 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03. 99-93-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 07731 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

აფხაზეთი: კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მაყურებელმა ნახა პრემიერა

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის თეატრის აფხაზურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი მოზარდი მაყურებლისათვის. ეს არის აფხაზი პოეტის ნელი თარბას პიესა-ზღაპარი „მზის ქალიშვილი“, რომელიც დაწერილია ჟ. ლომიას პოემის მოტივებზე.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. კოღონიამ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თ. ჟვანიას, მუსიკა — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს, ქორეოგრაფია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ჩიხლაძე.

სოხუმის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში რუსული კომედიისა და მინიატურების სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. სალინსკის პიესა „დიდინნის ნანატრი“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის საკავშირო ფესტივალის ლაურეატს, რეჟისორ ვ. ვინიკოვს, მხატვრული გაფორმება — გ. ტაგანლიკს, მუსიკალური ხელმძღვანელია აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ალ. ისბუა.

მომღერლის კონცერტები

აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში წარმატება ჰქონდა სოხუმის ფილარმონიის სოლისტის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლუდმილა ლოგუას კონცერტებს.

ლვოვის საზოგადოებრიობის თხოვნით ლ. ლოგუა მიწვეულია საგასტროლოდ უკრაინაში. სხვა ქალაქების გარდა მისი კონცერტები ვაიმართება კიევში. აქ კონსერვატორიაში მომღერალმა უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო.

ნ. მიქაშავიძე,
„კომუნისტის“ კორ.

კლასიკური მუსიკის საღამო

ახალციხე. ნაყოფიერად მუშაობს ახალციხის სამუსიკო სკოლა (დირექტორი შ. ალთუნაშვილი), რომელსაც 23 წლის ისტორია აქვს.

სკოლაში გახსნილია ვიოლინოს, ვიოლონჩელოს, კლარნეტის, აკორდეონის და ფორტეპიანოს კლასები. მოსწავლეთა აღზრდას 43 პედაგოგი ემსახურება.

სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ქალაქის მშრომელებისათვის ხშირად მართავს საღამო-კონცერტებს. ამას წინათ გამართულ კონცერტზე, რომელსაც „კლასიკური მუსიკის საღამო უწოდეს, სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა შეასრულეს გლინკას, შოპენის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, არაყიშვილის, ფალიაშვილის, რახმანინოვის, ჰაიდნის, თაქთაქიშვილის, ლაღიძის, არუთინიანის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.